585
1969/3
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (347)

1969 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 12 (347) დეკემბერი 1969 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-5 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.

227. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 26 ნოემბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

228. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

**საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი**

229. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

230. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

231. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

232. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-

ეროვნული

თან არსებული სამმართველოების გარდაქმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

233. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ კანონში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

234. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

235. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-5 და მე-15 მუხლების შევსების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

236. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის შევსების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

237. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

238. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

239. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

240. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

241. **დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრების და მთავრობის სხვა წევრების დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.**

242. **დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.**

## განყოფილება მეორე

243. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ყ. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. ვ. ბარდაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. გიორგობიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

247. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ნ. მახარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

248. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. ვ. მორეტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

249. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. ი. საბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

250. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ფახცულაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

251. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ე. ყოფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

252. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. გ. ს. ვაწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

253. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. ფ. ნაჭყეპიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

254. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ხ. საბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

255. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის საბავშვო თეატრების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

256. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

257. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ქანთარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

258. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. სიხარულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

259 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ფრიშენბერგის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობა.

1969 წლის იანვარ-სექტემბრის საძიებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 225 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაწესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის წესების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზის დაზიანება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $227^1$ მუხლი:

„**მუხლი $227^1$. კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის წესების დარღვევა**

კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზის დაზიანება, თუ ამან გამოიწვია კავშირგაბმულობის შეფერხება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაჭაძე**

თბილისი, 1969 წლის 9 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 226 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-5 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

უფლება მიეცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოებს წყალსადენითა და კანალიზაციით სარგებლობის წესების, აგრეთვე სასმელი წყლის დანაკარგებთან და მფლანგველურად ხარჯვასთან ბრძოლის საკითხებზე მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება.

ამასთან დაკავშირებით „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-5 მუხლს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1964 წ., № 4, მუხ. 80; 1966 წ., № 8, მუხ. 132; 1967 წ., № 6, მუხ. 350; 1968 წ., № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 14) სიტყვების შემდეგ „ნაგებობათა დაცვასა და წესრიგში მოყვანაზე" დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„წყალსადენითა და კანალიზაციით სარგებლობის წესებზე, სასმელი წყლის დანაკარგებთან და მფლანგველურად ხარჯვასთან ბრძოლაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 9 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 227 „სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 26 ნოემბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს „სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესასრულებლად.

აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოების მუდმივი კომისიები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელ საქმიანობას წარმართავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პერიოდულად ამოწმებენ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობას და პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დიდი მუშაობაა ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად (ზუგდიდის, ხობის, ორჯონიკიძის, ჩხოროწყუს, თელავისა და სხვა რაიონები). სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი მიმდინარე წელს, 1968 წელთან შედარებით, 214-ით გაიზარდა. გარდა ამისა მშენებლობის პროცესშია 17 კულტურის სახლი, 89 სოფლის კლუბი და 77 ბიბლიოთეკა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაფერისი კადრებით დაკომპლექტებისა და მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მიმდინარე წელს სოფლის კლუბებსა და ბიბლიოთეკებში სამუშაოდ გაიგზავნა 387 სპეციალისტი. გარდა ამისა, 255 მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების ერთთვიანი კურსები, რომელიც მოაწყო კულტურის სამინისტრომ.

სოფლის კლუბებში გაიზარდა მხატვრული თვითმოქმედებისა და ზოგადსაგანმანათლებლო წრეების რაოდენობა. მიმდინარე წელს განხორციელდა 20.149 მხატვრული ღონისძიება, რაც დიდად აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს.

სისტემატურად იმართება ლექციები, მოხსენებები, საუბრები, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან (მახარაძის, ლანჩხუთის, აბაშის, ვანის, ზესტაფონის, წყალტუბოსა და სხვა რაიონები).

ამასთან, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 26 ნოემბრის დადგენილების განხორციელების საქმეში ზოგიერთი საბჭოს აღმასკომმა გააჩნია არსებითი ნაკლოვანებანი.

მცხეთის, მარნეულის, მესტიისა და სხვა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს არ განუხილავთ პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილება და არ განუხორციელებიათ კონკრეტული ღონისძიებანი მის შესასრულებლად.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მარნეულის რაიონის შულავერის, ყულარის, მესტიის რაიონის უშგულის და კალის სასოფლო საბჭოების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. მარნეულისა და მესტიის რაიონული და სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობას, იშვიათად ამოწმებენ და განიხილავენ მათი მუშაობის საკითხებს.

ზოგიერთ რაიონში სასოფლო საბჭოების აღმასკომები და კოლმეურნეობათა გამგეობები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სოფლის კულტურულ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეს. ამის შედეგია, რომ მესტიის და თიანეთის რაიონებში არსებული ბიბლიოთეკების მნიშვნელოვანი ნაწილი მოთავსებულია კერძო, დაქირავებულ, უვარგის ბინებში. ასევე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ მარნეულის რაიონში.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საჭიროებისათვის ზოგიერთ რაიონულ და სასოფლო საბჭოს აღმასკომში ნაკლებად იყენებენ კულტფონდებსა და თვითდაბეგვრის თანხებს. გასულ წელს თერჯოლის რაიონში თვითდაბეგვრის თანხიდან, რომელიც 24.850 მანეთს შეადგენდა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დაიხარჯა მხოლოდ 5.859 მანეთი, საგარეჯოს რაიონში დახარჯულ იქნა 207 მანეთი; მარნეულის რაიონში — 418 მანეთი და სხვა, მაშინ, როცა აღნიშნულ რაიონებში კულტურულ-საგანმანათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლო დაწესებულებათა ბაზები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საჭიროებისათვის სრულებით არ გამოუყენებიათ თვითდაბეგვრის თანხები დმანისის, ქარელის, ლაგოდეხისა და ზოგიერთ სხვა რაიონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიიღონ ზომები „სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 26 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად;

ბ) მუდმივი კომისიების, დეპუტატების და აქტივის მონაწილეობით საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად განიხილონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხები და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათი საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

გ) მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი სახსრები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად და მათი საჭირო ინვენტარით უზრუნველსაყოფად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისადმი, მეტი ყურადღება მიაქციოს ამ დაწესებულებებისათვის კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს, იზრუნოს მათი პროფესიონალური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი ადგილობრივი სახსრებით სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისათვის საჭირო მასალების გამოყოფისა და ამ დაწესებულებების სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1969 წლის 9 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 228 თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექციას მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებებისა და საჩივრების რიცხვი, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 83-ით გაიზარდა. ქარხნის დირექტორის მოადგილე ამხ. პ. ჩიგოგიძე, რომელსაც დავალებული აქვს განახორციელოს კონტროლი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვაზე, არასაკმარის ყურადღებას უთმობს ამ მნიშვნელოვან საქმეს. ზოგ შემთხვევაში ირღვევა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის კანონით დაწესებული ვადები; ნაკლებად ამოწმებენ საჩივრებსა და განცხადებებში დაყენებული საკითხების მოსაწესრიგებლად ქარხნის მუშაკებისათვის მიცემულ დავალებათა შესრულებას.

არის შემთხვევები, როცა საჩივრები განსახილველად ეგზავნება იმ პირთ, ვისაც უჩივიან. განცხადებებსა და საჩივრებზე ჯერ კიდევ ვხვდებით მრავალ რეზოლუციას, რაც აგვიანებს მათ გადაცემას უშუალოდ შემსრულებლისათვის. ამასთანავე, რეზოლუციების შინაარსი ნაკლებად კონკრეტულია.

ქარხნის დირექცია ზოგჯერ დროულად არ პასუხობს მისთვის განსახილველად გადაგზავნილ კონტროლზე აყვანილ საჩივრებზე.

დირექცია და მისი საბინაო-კომუნალური განყოფილება არასაკმარისად იბრძვიან ქარხნის საბინაო ფონდის სათანადოდ მოვლა-პატრონობისათვის. ამის მიზეზია, რომ განცხადებებისა და საჩივრების რიცხვი საუწყებო-საბინაო ფონდის შეკეთების თაობაზე, მიმდინარე წლის 9 თვეში, შარშანდელთან შედარებით, სამჯერ და მეტად გაიზარდა. ადგილი აქვს მუშათა კადრებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დენადობას. მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში ქარხნიდან სხვადასხვა მიზეზით გათავისუფლებულ იქნა 538 კაცი. ნაკლები ყურადღება ექცევა უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორს ამხ. დ. კიკნაძეს, ქარხნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას ზუსტად იხელმძღვანელონ „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 29 აგვისტოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 28 ნოემბრის დადგენილებებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით;

ბ) უზრუნველყონ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების სწორი აღრიცხვა, მათი დროულად შემოწმება, გადაწყვეტა და პასუხის ვადაზე გაცემა;

გ) პერიოდულად შეამოწმონ განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა ქარხნის განყოფილებებსა და საამქროებში და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) კონტროლი გაუწიონ განცხადებებისა და საჩივრების შემოწმების საფუძველზე მიღებულ ღონისძიებათა შესრულებას, რის შესახებაც წერილობით დროულად აცნობონ განმცხადებლებს;

ე) სათანადო პასუხი მოსთხოვონ იმ პირთ, რომლებიც გულისხმიერად არ ეკიდებიან მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეს;

ეროვნული

ვ) მიიღონ საჭირო ზომები მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმოებაში შენარჩუნებისათვის; განახორციელონ ღონისძიებანი უსაფრთხოების ტექნიკის წესების დასაცავად;

ზ) სათანადო წესრიგი დაამყარონ საბინაო-კომუნალური განყოფილების მუშაობაში, მიიღონ ზომები მუშებისათვის ნორმალური კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში პერიოდულად შეისწავლონ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და მიიღონ ქმედითი ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. პრეზიდიუმის მისაღებმა 1970 წლის 1 ივლისისათვის შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1969 წლის 9 დეკემბერი.

## საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 229 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა იმ შესწორებებით, რომლებიც შემოიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

| | (მატება პროცენტებში 1969 წელთან შედარებით) |
|---|---|
| საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქცია . . . . | 7 პროცენტით |
| მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა . . . . . . . . . . . . | 8 პროცენტით |
| სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . . . . . . . | 6 პროცენტით |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც უშუალოდ გამოყოფილი აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს . . 12 პროცენტით

საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა . . . . . . . . . . . . . . . . . 7,7 პროცენტით

მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი (მშენებლობის, საპროექტო ორგანიზაციების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საკოლმეურნეობათაშორისო და სარემონტო-სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების გამოკლებით) . . . . . . . . 5,8 პროცენტით

მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა და არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სამრეწველო საქმიანობიდან . . . . . 11 პროცენტით

**მუხლი 3.** უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1970 წელს 1969 წელთან შედარებით გადიდდეს:

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა . . . . . . . . . . . . . . 6,5 პროცენტით

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება . . 14.8 პროცენტით

საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე . . . . . . . . . . . . . . 8,4 პროცენტით

ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ რესპუბლიკური დაქვემდებარების სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში . . . . . . . . . . 4,8 პროცენტით

მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში . . . . . . . . . . . . 17,1 პროცენტით

მოსწავლეთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებაზე . . . . . . . . . . 5.8 პროცენტით

მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე . . . . . . . 7,6 პროცენტით

საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა . . . 2,9 პროცენტით

**მუხლი 4.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ის წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

№ 12 ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 230 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 1.248.982 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.248.982 ათასი მანეთი და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის 51.818 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.114.355 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 486.407 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 711.166 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 139.021 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 25.772 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1970 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.180.591 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 799.398 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 381.193 ათასი მანეთი. და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის 31.924 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1970 წლისათვის შემდეგი თანხებით: (ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . | 48.694,0 | 40.266,6 | — | 48.694,0 | 2.422,2 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . . | 34 094,9 | 28.854,4 | — | 34.094,9 | 1.695,2 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . | 15.886,2 | 9.081,0 | 5.089,5 | 15.886,2 | 788,6 |
| 4. ქალაქი თბილისი . | 120.370,0 | 95,256,5 | — | 120.370,0 | 3.593,7 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 13.673,8 | 8.518,9 | — | 13 673,8 | 675,2 |
| 6. ქალაქი ფოთი . | 3.829,3 | 2.961,4 | — | 3.829 3 | 186,5 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 5.436,1 | 5.014,0 | — | 5.436,1 | 269,3 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 10.342,5 | 8.866,0 | — | 10.342,5 | 514,1 |
| 9. ქალაქი გორი . . | 4.615 6 | 3.323,4 | — | 4.615 6 | 228.8 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 3.583 9 | 3.429,5 | — | 3.853,9 | 189 7 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 3.781,9 | 3.357,6 | — | 3.781,9 | 187,1 |
| 12. აბაშის რაიონი . | 2.381.8 | 2.089.2 | — | 2.381.8 | 117,1 |
| 13. ადიგენის რაიონი . . . | 1.996,2 | 1.692,2 | 205,7 | 1.996 2 | 97,3 |
| 14. ამბროლაურის რაიონი . | 2.686,4 | 2.499 6 | — | 2.686,4 | 132,1 |
| 15. ასპინძის რაიონი . . . | 1.879,2 | 1.302,0 | 498,1 | 1.879,2 | 91,7 |
| 16. ახალქალაქის რაიონი . . . | 4.980.8 | 4.601 3 | — | 4.980,8 | 247,0 |
| 17. ახალციხის რაიონი . . | 4.540,6 | 4.157,1 | — | 4.540,6 | 224,8 |
| 18. ახმეტის რაიონი . . . | 3.408,1 | 3.178,7 | — | 3.408.1 | 168,4 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 3.153,9 | 2.989,6 | — | 3.153,9 | 155,7 |
| 20. ბოლნისის რაიონი . | 3.959.2 | 3.684,6 | — | 3.959,2 | 196,0 |
| 21. ბორჯომის რაიონი . . . | 3.026.7 | 2.625,7 | — | 3.026,7 | 148,3 |
| 22. გარდაბნის რაიონი . . . . | 7.083,7 | 6.396,1 | — | 7.083,7 | 352,2 |

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 23. გეგეჭკორის რაიონი . . . | 4.274,7 | 3.961,3 | — | 4,274.7 | 211.5 |
| 24. გორის რაიონი . . . . . | 4.947 9 | 4.490,1 | — | 4.947.9 | 245.4 |
| 25. გურჯაანის რაიონი . . . . | 4.889 6 | 4.232,5 | — | 4.889,6 | 242 5 |
| 26. დმანისის რაიონი . . . . | 2.970,8 | 2.795 5 | — | 2.970,8 | 146.6 |
| 27. დუშეთის რაიონი . . . . | 3.470 2 | 3.159,4 | — | 3.470.2 | 170,8 |
| 28. ვანის რაიონი . . . . | 3.172,0 | 2.928,4 | — | 3.172,0 | 156,6 |
| 29 ზესტაფონის რაიონი . . . | 5.081,9 | 4.610.3 | — | 5.081,9 | 252,1 |
| 30. ზუგდიდის რაიონი . . . | 5.486,1 | 5.098.8 | — | 5.486.1 | 272.8 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი . . | 3.250,3 | 2.852,6 | — | 3.250 3 | 160,5 |
| 32. თელავის რაიონი . . . | 5.460,5 | 5.031,4 | — | 5 460,5 | 271.0 |
| 33. თერჯოლის რაიონი . . . | 2.937.5 | 2.629,0 | — | 2.937,5 | 144.9 |
| 34. თიანეთის რაიონი . . . . | 2.309,9 | 2.147,2 | — | 2.309,9 | 113,5 |
| 35. კასპის რაიონი . . . . | 3.595,2 | 3.115,5 | — | 3.595 2 | 177 8 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი . . . | 3.912,2 | 3.559.3 | — | 3.912 2 | 193,4 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი . . . | 3.410,6 | 3.101,8 | — | 3.410 6 | 168,8 |
| 38. ლენტეხის რაიონი . . . . | 2 034 5 | 1.192,7 | 763,9 | 2.034,5 | 99,7 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი . . . | 2.919.9 | 2.638 0 | — | 2 919.9 | 144,0 |
| 40. მარნეულის რაიონი . . . | 5.879,9 | 4.997.8 | — | 5.879.9 | 292,0 |
| 41. მახარაძის რაიონი . . . . | 5.819 8 | 5.183,3 | — | 5.819,8 | 289 0 |
| 42. მესტიის რაიონი . . . . | 2.355,0 | 1.359.5 | 939.3 | 3 355,0 | 115.8 |
| 43. მცხეთის რაიონი . . . . | 3.115,3 | 2.639,7 | — | 3.115,3 | 153.8 |
| 44. ონის რაიონი . . . . . | 2.211,2 | 2.062 4 | | 2.211,2 | 108.6 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი . . . | 3 049,1 | 2.842 4 | — | 3.049 1 | 150.5 |
| 46. საგარეჯოს რაიონი . . . . | 2.869,6 | 2.693 3 | — | 2.869,6 | 141,5 |
| 47. სამტრედიის რაიონი . . . | 4.394,7 | 3.788,1 | — | 4.394,7 | 217,5 |
| 48. საჩხერის რაიონი . . . . | 3.364,5 | 3.045,8 | — | 3.364.5 | 166.2 |
| 49. სიღნაღის რაიონი . . . . | 3.804 9 | 3 242.0 | — | 3 804 9 | 188 2 |
| 50. ქარელის რაიონი . . . . | 3.314.9 | 2.918.8 | — | 3.314,9 | 163.8 |
| 51. ყაზბეგის რაიონი . . . . | 1.322,4 | 914.8 | 353 4 | 1.322 4 | 64,1 |
| 52. ყვარლის რაიონი . . . . . | 3.214.0 | 2.934.3 | — | 3 214.0 | 158,4 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი . . . | 2.771.5 | 2.546,2 | — | 2 771,5 | 136,6 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი . . . | 3 131,1 | 2.969,0 | — | 3.131,1 | 154.6 |
| 55. ცაგერის რაიონი . . . . . | 2.385.7 | 2.230 0 | — | 2 385.7 | 117.3 |
| 56. ცხაკაიას რაიონი . . . . | 4 348.3 | 3 829 3 | — | 4.348,3 | 2 5.4 |
| 57. წალენჯიხის რაიონი . . . | 3 296,1 | 3.099,6 | — | 3 296,1 | 162,8 |
| 58. წალკის რაიონი . . . . . | 4.031,5 | 3.755.1 | — | 4.031,5 | 199,6 |
| 59. წითელწყაროს რაიონი . . . | 2.971.4 | 2.641,3 | — | 2.971.4 | 146 6 |
| 60. წულუკიძის რაიონი . . . | 3.280,2 | 2 970,5 | — | 3 280,2 | 162,0 |
| 61. წყალტუბოს რაიონი . . . | 4.259,0 | 3 208 3 | — | 4.259,0 | 211,0 |
| 62. ხაშურის რაიონი . . . . | 3.823.2 | 3.269,2 | — | 3.823 2 | 189.2 |
| 63. ხობის რაიონი . . . . . | 2.772.1 | 2.513.2 | — | 2.772,1 | 136,6 |
| სულ . . . . . | 449.584,0 | 373.343,1 | 7.849,9 | 449.584,0 | 19.894,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1970 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელებიდან — 10 პროცენტი;

დ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების, ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის და უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;

ე) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 25 | 89 | 52,0 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 30 | 90 | 46,7 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 100 | 100 | 100,0 |
| 4. ქალაქი თბილისი | 21 | 91 | 22,1 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 19 | 78 | 9,6 |
| 6. ქალაქი ფოთი | 30 | 99 | 49.1 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 50 | 100 | 72,1 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 75 | 100 | 98,6 |
| 9. ქალაქი გორი | 50 | 100 | 29,6 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 50 | 100 | 49,9 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 50 | 100 | 37,5 |
| 12. აბაშის რაიონი | 50 | 100 | 70,2 |
| 13. ადიგენის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 14. ამბროლაურის რაიონი | 50 | 100 | 57,4 |
| 15. ასპინძის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 16. ახალქალაქის რაიონი | 50 | 100 | 75,2 |
| 17. ახალციხის რაიონი | 50 | 100 | 73,2 |
| 18. ახმეტის რაიონი | 50 | 100 | 58,7 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 50 | 100 | 72,9 |
| 20. ბოლნისის რაიონი | 50 | 100 | 64.4 |
| 21. ბორჯომის რაიონი | 50 | 100 | 29,4 |
| 22. გარდაბნის რაიონი | 50 | 100 | 10,9 |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 50 | 100 | 72,8 |
| 24. გორის რაიონი | 50 | 100 | 55,1 |

№ 12
ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | სსრკ. უცოლო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 25. გურჯაანის რაიონი | 50 | 100 | 61.0 |
| 26. დმანისის რაიონი | 50 | 100 | 74,0 |
| 27. დუშეთის რაიონი | 50 | 100 | 54.7 |
| 28. ვანის რაიონი | 50 | 100 | 74.1 |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 50 | 100 | 45,5 |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 46 | 100 | 70,0 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 50 | 100 | 53,5 |
| 32. თელავის რაიონი | 50 | 100 | 71,8 |
| 33. თერჯოლის რაიონი | 50 | 100 | 74,5 |
| 34. თიანეთის რაიონი | 50 | 100 | 80,1 |
| 35. კასპის რაიონი | 50 | 100 | 19,5 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი | 50 | 100 | 43,2 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 50 | 100 | 72.7 |
| 38. ლენტეხის რაიონი | 100 | 100 | 100.0 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი | 50 | 100 | 76.7 |
| 40. მარნეულის რაიონი | 50 | 100 | 66 2 |
| 41. მახარაძის რაიონი | 50 | 100 | 46,8 |
| 42. მესტიის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 43. მცხეთის რაიონი | 50 | 100 | 76.3 |
| 44. ონის რაიონი | 50 | 100 | 63 4 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 50 | 100 | 71.6 |
| 46. საგარეჯოს რაიონი | 50 | 100 | 73,6 |
| 47. სამტრედიის რაიონი | 40 | 100 | 19,3 |
| 48. საჩხერის რაიონი | 50 | 100 | 68,5 |
| 49. სიღნაღის რაიონი | 50 | 100 | 73 4 |
| 50. ქარელის რაიონი | 50 | 100 | 17,9 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 100 | 100 | 100.0 |
| 52. ყვარლის რაიონი | 50 | 100 | 64,5 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 50 | 100 | 70.0 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 50 | 100 | 84,2 |
| 55. ცაგერის რაიონი | 50 | 100 | 86,0 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 50 | 100 | 30.1 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 50 | 100 | 34,8 |
| 58. წალკის რაიონი | 50 | 100 | 77.8 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 50 | 100 | 79.6 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 50 | 100 | 68,2 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 50 | 100 | 44.8 |
| 62 ხაშურის რაიონი | 50 | 100 | 66.6 |
| 63. ხობის რაიონი | 50 | 100 | 76.0 |

მუხ. 230
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მუხლი 9.** გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებში (შემდგომში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ქალაქი ჭიათურა | 20 | ლანჩხუთის რაიონი | 14 |
| ქალაქი ტყიბული | 7 | ლენტეხის რაიონი | 30 |
| აბაშის რაიონი | 13 | მაიაკოვსკის რაიონი | 20 |
| ადიგენის რაიონი | 30 | მარნეულის რაიონი | 5 |
| ამბროლაურის რაიონი | 23 | მახარაძის რაიონი | 3 |
| ასპინძის რაიონი | 30 | მესტიის რაიონი | 30 |
| ახალქალაქის რაიონი | 15 | მცხეთის რაიონი | 5 |
| ახალციხის რაიონი | 22 | ონის რაიონი | 24 |
| ახმეტის რაიონი | 24 | ორჯონიკიძის რაიონი | 20 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 24 | საგარეჯოს რაიონი | 15 |
| ბოლნისის რაიონი | 23 | სამტრედიის რაიონი | 3 |
| ბორჯომის რაიონი | 3 | საჩხერის რაიონი | 13 |
| გარდაბნის რაიონი | 2 | სიღნაღის რაიონი | 3 |
| გეგეჭკორის რაიონი | 22 | ქარელის რაიონი | 3 |
| გორის რაიონი | 5 | ყაზბეგის რაიონი | 30 |
| გურჯაანის რაიონი | 3 | ყვარლის რაიონი | 16 |
| დმანისის რაიონი | 29 | ჩოხატაურის რაიონი | 18 |
| დუშეთის რაიონი | 25 | ჩხოროწყუს რაიონი | 27 |
| ვანის რაიონი | 7 | ცაგერის რაიონი | 29 |
| ზესტაფონის რაიონი | 3 | ცხაკაიას რაიონი | 5 |
| ზუგდიდის რაიონი | 21 | წალენჯიხის რაიონი | 22 |
| თეთრიწყაროს რაიონი | 17 | წალკის რაიონი | 26 |
| თელავის რაიონი | 11 | წითელწყაროს რაიონი | 8 |
| თერჯოლის რაიონი | 5 | წულუკიძის რაიონი | 18 |
| თიანეთის რაიონი | 30 | წყალტუბოს რაიონი | 5 |
| კასპის რაიონი | 3 | ხაშურის რაიონი | 3 |
| ლაგოდეხის რაიონი | 2 | ხობის რაიონი | 15 |

**მუხლი 10.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**231** **საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.276.385 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 1.218.539 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 57.846 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**232** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველოების გარდაქმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1969 წლის 4 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ დამზადებათა საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1969 წლის 1 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“;

1969 წლის 1 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55-ე მუხლებში:

50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“;

50-ე მუხლს სიტყვების შემდეგ: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი“ დაემატოს, სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი“;

55-ე მუხლს სიტყვის „განათლების“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „დამზადებათა“;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**233 „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ კანონში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ საქართველოს სსრ კანონში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**234** **„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1959 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**235** **„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-5 და მე-15 მუხლების შევსების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969 წლის 27 ოქტომბრისა — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გადმოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე“;

1969 წლის 9 დეკემბრისა — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გადმოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-5 მუხლში დამატების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 236 „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის შევსების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის შევსების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 237 „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა ნათესების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულება „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 238 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 239 „სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებულება „სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**240** **„წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულება „წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**241** **საქართველოს სსრ მინისტრებისა და მთავრობის სხვა წევრების დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1969 წლის 25 ივნისისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გიორგი ირაკლის ძე ჩოგოვაძის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1969 წლის 4 ნოემბრისა — ამხ. მიხეილ ბახვას ძე ნარსიას საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1969 წლის 1 აგვისტოსი — ამხ. გივი ვლადიმერის ძე ჟამიერაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ;

1969 წლის 1 აგვისტოსი — ამხ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე განგიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 242 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის დავით იოსების ძე **ჩხიკვიშვილის** რწმუნებანი, რომელიც არჩეულია 1969 წლის 6 ივლისს კასპის რაიონის ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქში.

თბილისი, 1969 წლის 25 დეკემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 243 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მოზარდი თაობის მხატვრული აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის და საბჭოთა საბავშვო თეატრის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:**

1. გიორგი ილიას ძე **მიქელაძეს** — თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს.

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:**

1. თენგიზ გიორგის ძე **მაღალაშვილს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მთავარ რეჟისორს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:**

1. იური მანთაშის ძე **აივაზოვს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.
2. ციალა ილიას ასულ **ჟორჟოლაძეს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.
3. იამზე (ლამარა) შალვას ასულ **ტყავაძეს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.
4. რავილ საიდის ძე **ტაგიროვს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.
5. აკაკი ერისტოს ძე **ყურაშვილს** — ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
6. ამბერკი ალექსანდრეს ძე **ფხალაძეს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ბელა დიდიმის ასულ **ჯაფარიძეს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის:**

1. გიორგი გიორგის ძე **ბერეჩიკიძეს** — ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მთავარ მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 24 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 244 ამხ. მ. ყ. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. მიხეილ ყარამანის ძე **ლომიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 3 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 245 პროფესორ ვ. ვ. ბარდაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ვერა ვარდენის ასული **ბარდაველიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 246 ამხ. ი. დ. გიორგობიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ილია დიმიტრის ძე **გიორგობიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 247 ამხ. ზ. ნ. მახარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ინსპექციის უფროსი ამხ. ზურაბ ნიკოლოზის ძე **მახარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 248 ამხ. კ. ვ. მორეტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მშენებლობის დარგში, დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნიკური ზედამხედველობის ინჟინერი ამხ. კარლო ვლადიმერის ძე **მორეტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 249 ამხ. კ. ი. საბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. კონდრატე ივანეს ძე საბაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 250 ამხ. ა. ა. ფანცულაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. აკაკი ალექსის ძე ფანცულაია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 251 ამხ. ვ. ვ. ყიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან ვლადიმერის ძე ყიფიანი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 დეკემბერი.

№ 17
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 252 პროფ. გ. ს. ვაწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და მეცნიერების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი სპირიდონის ძე ვაწაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 24 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 253 ამხ. ფ. ფ. ნაჭყეპიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი ამხ. ფილიპე ფირნაოზის ძე **ნაჭყეპია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 24 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 254 ამხ. დ. ხ. საბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დავით ხარიტონის ძე **საბაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 24 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 255 რესპუბლიკის საბავშვო თეატრების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, საბჭოთა საბავშვო თეატრის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი.
2. თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრი.
3. თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი.
4. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1969 წლის 24 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 256 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის მხატვრული აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის და საბჭოთა საბავშვო თეატრის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ელეონორა მიხეილის ასული **ელიაძე** — თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მთავარი ადმინისტრატორი.
2. კონსტანტინე გაბრიელის ძე **თაბუაშვილი** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სცენის უფროსი მემანქანე.
3. ირინა ნიკოლოზის ასული **კელჩევსკაია** — თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მხატვარი-მოქანდაკე.
4. უშანგი მიხეილის ძე **ონიაშვილი** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სადადგმო ნაწილის გამგე.
5. ოთარ ალექსანდრეს ძე **შენგელია** — თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის სცენის მთავარი მემანქანე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1969 წლის 24 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 257 ამხ. ა. ი. ქანთარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ამბერკი ივანეს ძე ქანთარია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 26 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 258 ამხ. გ. ვ. სიხარულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი ვასილის ძე სიხარულიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 259 ამხ. ს. ი. ფრიშენბერგის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური პროპაგანდისტული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამხ. სერგი ილიას ძე ფრიშენბერგი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1969 წლის 31 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 24 დეკემბერს განიხილა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების საკითხი და აღნიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძირითადად შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას. საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მონაწილეობით, აღმასკომების მუშაკებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის პერიოდულად ატარებენ საინსტრუქტაჟო თათბირებსა და სემინარებს კანონიერების დაცვის საკითხებზე, საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე იხილავენ საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობას და სხვ.

ამასთან ერთად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოები ჯერ კიდევ იღებენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ზოგიერთი მუშაკი ვერ ერკვევა მოქმედ კანონმდებლობაში, ამეტებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს და იღებს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რითაც არღვევს შრომის კანონმდებლობას, კონსტიტუციით გარანტირებულ მოქალაქეობრივ უფლებებს და საბჭოთა დემოკრატიის ნორმებს.

ზოგიერთმა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომმა არაკანონიერად აუკრძალა კოლმეურნეებსა და მუშა-მოსამსახურეებს კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების გატანა რაიონის ფარგლებს გარეთ; ზოგიერთმა აღმასკომმა სოფლის კოოპერატივს აუკრძალა ცალკეული სახეობის საქონლით ვაჭრობა, მოქალაქეთა სამუშაოზე მიღება მათი რეკომენდაციის გარეშე და სხვ.

არის შემთხვევები, როცა აღმასრულებელი კომიტეტები კანონის დარღვევით აჯარიმებენ მოქალაქეებს ან სჯიან ისეთ თანამდებობის პირთ, რომელთა დასჯის უფლება მათ არა აქვთ.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ არღვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებას „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ". ნათესთა და ნარგავთა წანახედით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას დამნაშავეთ, საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა გარეშე აკისრებენ კოლმეურნეობათა გამგეობები. ხშირად ჯარიმებს აკისრებენ უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე გათვალისწინებულია კანონით.

სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მუშაობაში არსებული დარღვევები გამოწვეულია იმით, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არ აკონტროლებენ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას, გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებასა და განხილვაში ნაკლებად მონაწილეობენ მუდმივი

№ 12
ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიები, დეპუტატები და საბჭოს აქტივი, დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. საბჭოების აღმასკომების მუშაკები სისტემატურად არ იმაღლებენ იურიდიულ ცოდნას, არ ეცნობიან მოქმედ კანონმდებლობას და სხვ., ხოლო პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები სათანადო ზედამხედველობას არ უწევენ აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

უახლოეს დროში შეამოწმონ ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება და სათანადო წესის დაცვით გააუქმონ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი. გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების მიღებისას მტკიცედ დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა;

სისტემატურად ჩაატარონ საბჭოების მუშაკების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საინსტრუქტაჟო თათბირები და სემინარები მოქმედი კანონმდებლობის სხვადასხვა საკითხების გაცნობა-შესწავლის მიზნით;

გააძლიერონ კონტროლი ქვემდგომი საბჭოებისადმი და მეტი დახმარება აღმოუჩინონ მათ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალა:

საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად განიხილონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური კანონიერების დაცვასთან. აამაღლონ საბჭოების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში;

პრაქტიკაში დანერგონ საზოგადოებრიობის მიერ საბჭოებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვა, ამასთან ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის დაწესებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის პროკურატურას დაავალა გააძლიეროს ზედამხედველობა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებისადმი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ განიხილა დეპუტატ ზ. ჯაფარიძის მოხსენება რესპუბლიკის საპროექტო ინსტიტუტების — „თბილქალაქპროექტის“, „საქქალაქმშენპროექტის“, „საქსოფლმშენპროექტისა“ და „საქსახპროექტის“ მუშაობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ ინსტიტუტებმა გასწიეს გარკვეული მუშაობა. შედგენილია სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების პროექტები. აშენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მრავალი ჰიდრო და თბოელექტროსადგური, სარწყავი სისტემა, ჩაის ფაბრიკები და ელექტროტექნიკური ქარხნები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ობიექტები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო დაწესებულებანი, კინოთეატრები, კურორტების მთელი კომპლექსები, გზები, ხიდები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი საწარმო. ამასთანავე „თბილქალაქპროექტის", „საქქალაქმშენპროექტის", „საქსოფლმშენპროექტისა" და „საქსახპროექტის" მუშაობაში არის ნაკლოვანებანი.

ინსტიტუტები ხშირად დაგვიანებით აბარებენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. არის შემთხვევები, როცა აგვიანებენ საპროექტო მოცულობათა განხილვასა და დამტკიცებას.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია ხარჯთაღრიცხვების შედგენის საქმეში. ხშირად წინასწარი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მშენებლობის პერიოდში იცვლება, რაც გამოწვეულია პროექტის შეცდომებით და შემკვეთთა მიერ მოწყობილობის, კონსტრუქციებისა და საშენ მასალათა გაუთვალისწინებელი შეცვლით.

აღნიშნული საპროექტო ორგანიზაციები ჯეროვნად არ ახორციელებენ საავტორო ზედამხედველობას.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები შ. ნემსაძე, ვ. კვარაცხელია, „საქსოფლმშენპროექტის" ინსტიტუტის დირექტორი ვ. ჩხეიძე, „საქსახპროექტის" მთავარი ინჟინერი ნ. ხახუტაშვილი, „საქქალაქმშენპროექტის" ტექნიკური განყოფილების უფროსი ვ. ყუფუნია და სხვები.

*

*  *

**მრეწველობის** მუდმივმა კომისიამ მოისმინა დეპუტატ ი. ხვედელიანის მოხსენება თბილისის № 1, სოხუმის, ხაშურის, ბოლნისის, ლაგოდეხის, ხობისა და გეგეჭკორის საკონსერვო ქარხნებში პროდუქციის წარმოების მდგომარეობის შესახებ. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ეს ქარხნები ძირითადად ასრულებენ საწარმოო დავალებებს, უშვებენ მაღალი ხარისხისა და საჭირო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელიც შეესაბამება მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს.

ამავე დროს მთელი რიგი საკონსერვო ქარხნები ვერ ასრულებენ ზოგიერთი დასახელების პროდუქციის წარმოების გეგმას. საკონსერვო ქარხნების განლაგების ზონებში მდებარე საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები თავს ვერართმევენ ბოსტნეულის დარგვის, მოვლა-მოყვანისა და მიწოდების დავალებებს.

მიმდინარე წელს დუშეთის დამამზადებელმა კანტორამ ბოლნისის საკონსერვო ქარხანას დააკლო 3 ტონა კაკალი და 119 ტონა ველური ხილი

ნაკლოვანებანია სოხუმის, ხაშურის, ლაგოდეხის და ხობის საკონსერვო ქარხნებისათვის ნედლეულის მიწოდების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი საწარმო ვერ ასრულებს პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და დაგროვების გეგმებს. მაგალითად, ხაშურის საკონსერვო ქარხანამ 1958 წელს რეალიზაციის გეგმა მხოლოდ 94 პროცენტით შეასრულა.

არის შემთხვევები, როცა ქარხნები ვერ ითვისებენ მოწყობილობის რემონტისათვის გამოყოფილ სახსრებს. მაგალითად, ბოლნისის საკონსერვო ქარხანამ შარშან ამ მიზნისათვის ასიგნებული 5 ათასი მანეთიდან აითვისა მხოლოდ 1700 მანეთი, ხოლო წელს 20 ათასი მანეთიდან 12,5 ათასი მანეთი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები კ. ლომაძე, გ. სამხარაძე, ს. შარაძენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რ. დოლიძე, „საქკონსერვტრესტის“ მმართველი ვ. რევაზიშვილი, ლაგოდეხის საკონსერვო ქარხნის დირექტორი მ. ანდღულაძე და სხვები.

*
* *

**ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის** მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მ. თოფურიძის მოხსენება რესპუბლიკაში სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის მდგომარეობის თაობაზე და მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელბახიანის მოხსენება სოფლად მომუშავე მედიცინის მუშაკთა უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთ სხდომებზე პერიოდულად იხილავენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაობის საკითხებს და სახავენ პენსიით უზრუნველყოფის გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს.

მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის საქართველოში სოციალურად უზრუნველყოფილი იყო 810 ათასზე მეტი კაცი.

ამასთანავე აღინიშნა, რომ სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის საქმეში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი დარღვევები.

სოციალური უზრუნველყოფის ზოგიერთ საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში კვლავ არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო პენსიებს უნიშნავენ და გასცემენ კუთვნილზე მეტი ან ნაკლები ოდენობით.

მიმდინარე წლის 9 თვეში სოციალური უზრუნველყოფის 12 რაიონულ განყოფილებაში გამოვლინდა პენსიების გადიდებული გაცემის 150 შემთხვევა, რის შედეგად გაიცა საჭიროზე მეტი 20.345 მანეთი, 78 პენსიონერს კი დააკლეს 8.952 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი მუშაობის გამო მთლიანად შეიცვალა ჭიათურის საქალაქო, დმანისისა და ლაგოდეხის რაიონული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები.

კავშირგაბმულობის დაწესებულებანი ზოგჯერ სწორად არ იძლევიან პენსიებს.

სოფლად მომუშავე მედიცინის მუშაკთა უფასო კომუნალური მომსახურების მდგომარეობის საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მთელ რიგ რაიონებში, როგორიცაა წითელწყაროს, ხაშურის, ზნაურის, მესტიის, წყალტუბოს, თელავისა და სხვა რაიონები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოები ჯეროვან ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ სოფლად მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სოფლად მედიცინის მუშაკები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან უფასო კომუნალური მომსახურებით — ბინით, გათბობით და განათებით. მათ დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხით და უზრუნველყოფენ საშენი მასალით. ზნაურის, ხაშურის, წყალტუბოს, წითელწყაროსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში წელს სოფლის ექიმებმა და საშუალო სამედიცინო პერსონალის მუშაკებმა ადგილობრივი საბჭოების დახმარებით აიშენეს ინდივიდუალური სახლები.

მიუხედავად ამისა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი სოფლად მედიცინის მუშაკთა კომუნალური მომსახურების საქმეში.

სოფლის ექიმები და სხვა სამედიცინო მუშაკები ყოველთვის როდი არიან უზრუნველყოფილი უფასო კომუნალური მომსახურებით.

სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს სოფლის მედიცინის მუშაკთა უზრუნველყოფას პირველი საჭიროების საგნებითა და პროდუქტებით დუშეთის, ჩოხატაურის, ონის, ამბროლაურისა და ახალქალაქის რაიონებში.

კამათში ამ საკითხის გამო გამოვიდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ზ. მენთეშაშვილი, დ. იოსელიანი, ნ. მელანაშვილი, რ. სიორიძე და სხვები.

*

* *

15 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **საგეგმო-საბიუჯეტო** კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დ. გელაშვილმა. სხდომის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

2. საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. ჯაფარიძემ. მომხსენებელმა დაახასიათა სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ხუთწლედის პირველი ოთხი წლის შედეგები.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა ა. ჭირაქაძემ.

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები განიხილეს ოთხ ქვეკომისიაში.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

*

* *

**საყოფაცხოვრებო მომსახურების** მუდმივმა კომისიამ მოისმინა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. უ. ცქვიტინიძის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის 1967 წლის 13 ივლისის დადგენილებას.

კომისიამ აღნიშნა, რომ ამ დადგენილების შესასრულებლად განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი.

ქალაქში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. საანგარიშო პერიოდში აშენდა და რეკონსტრუირებულ იქნა 36 ობიექტი, დაიდგა 12 ახალი პავილიონი და 21 ჯიხური, გადიდდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა, ამაღლდა მისი კულტურა და სხვ.

1968 წელს და მიმდინარე წლის 10 თვეში გადაჭარბებით შესრულდა საერთო და სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის 1967 წლის 13 ივლისის დადგენილების შესრულების საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ქალაქის განაპირა რაიონებში სათანადო რაოდენობით არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ქუთაისის სამრეწველო საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებენ საკუთარი სახსრებით საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობისა და მოწყობის გეგმას.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მაუდის ფაბრიკის, ლითოფონის ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, მინის ტარის ქარხნის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის და № 4 სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელები.

ნაკლოვანებებია კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. სათანადო სიმაღლეზე არ დგას საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიტარიის, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის, წარმოების კულტურის და რე-კლამა-გაფორმების საქმე.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: მუდმივი კომისიის წევრები დე-პუტატები შ. ჯოგლიძე, დ. საბაშვილი, რ. კვინტრაძე, მსუბუქი მრეწველობის მინისტრი მ. ჩხეიძე, ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი გ. რუხაძე და სხვ.

მუდმივი კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ჟვანიამ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

*

* *

**სოფლის მეურნეობის** მუდმივმა კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ მი-ნისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილის გ. სეხნიაშვილის მოხსენება, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღ-ლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის 1967 წლის 7 ივლისის დადგენილება „რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბ-ჭოთა მეურნეობების ტექნიკით უზრუნველყოფისა და მისი გამოყენების მდგო-მარეობის თაობაზე".

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა მუდმივი კომისიის რეკომენდაციათა შესასრულებლად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკის მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმე-ში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მთელ რიგ ნაკლოვანებებს. დაბალია მექანიზაციის დონე მეცხოველეობასა და მეჩაიეობაში. ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი მო-მზადებული არ არის მექანიზაციისათვის.

ნაკლოვანებებია მექანიზატორთა კადრების მომზადება-გადამზადებაში.

*

* *

**კულტურის** მუდმივმა კომისიამ დეპუტატ ს. რიგვავას თავმჯდომარეობით ჩაატარა გამსვლელი სხდომა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლო-ბის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის „საქსოფლპროექტმშენის" ინსტიტუტში. მოხსენება სოფლების განაშენიანებისა და არქიტექტურული გაფორმების შე-სახებ გააკეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. თუხარელმა.

კომისიამ სხდომაზე აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა სოფლის სახე. აგრეთვე აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სათანადო კონტროლს არ ახორციელებენ სოფლების გეგმაზომიერად განაშენიანების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

**ახალგაზრდობის** საქმეთა მუდმივმა კომისიამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ბერიანიძის მოხსენება თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებთან მუშაობის შესახებ.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმულია ბევრი ახალგაზრდა.

ამასთანავე შემოწმებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჯეროვან ყურადღებასა და მზრუნველობას არ იჩენენ ასეთი ახალგაზრდებისადმი. საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიები, შინაგან საქმეთა ორგანოები იშვიათად და ზოგადად განიხილავენ აღნიშნულ საკითხებს, არ იჩენენ კონკრეტულ ინტერესს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებული თვითეული ახალგაზრდის შემდგომი ბედისადმი, მისი შრომისა და სწავლის პირობებისადმი.

*

* *

**ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის** მუდმივმა კომისიამ განიხილა ამ კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ბერიძის მოხსენება რესპუბლიკის მაღალმთიან სოფლებში კავშირგაბმულობისა და რადიოფიკაციის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა კავშირგაბმულობის საშუალებებისა და რადიოფიკაციის გაფართოებისათვის. ახლა მთიანი რაიონების სოფლები ძირითადად უზრუნველყოფილია რადიოფიკაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით. მაგრამ მთელი რიგი რაიონების (მაიაკოვსკის, დუშეთის, დმანისის, ახმეტის, მესტიის, ქედის, ჩოხატაურის რაიონები) ბევრ სოფელში ტელეფონი და რადიო ჯერ კიდევ არ არის. ნაკლოვანებებია კავშირგაბმულობის მოქმედი ორგანოებისა და რადიოქსელის მუშაობაში.

*

* *

**სახალხო განათლებისა და მეცნიერების** მუდმივმა კომისიამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის თემატიკის აქტუალობის შესახებ. ინსტიტუტის თემატიკა მოიცავს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის განკუთვნილი ავტომატური მართვის სისტემების თეორიულ გამოკვლევებს.

მაგრამ საწარმოო ბაზების ნაკლებობის გამო ინსტიტუტი ვერ აკმაყოფილებს ზოგიერთი საწარმოს მოთხოვნებს მთელ რიგ ხელსაწყოთა და სპეციალიზებულ გამომთვლელ მოწყობილობათა შექმნის შესახებ.

ინსტიტუტში დიდია მეცნიერული კადრების დენადობა, ნაკლოვანებებია ინსტიტუტის თანამშრომელთა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეშიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა განხილული საკითხების გამო მიიღეს სათანადო დადგენილებანი.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 9 და 24 დეკემბრის ბრძანებულებებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 721 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისიდან | 16 |
| ქ. რუსთავიდან | 9 |
| ქ. ქუთაისიდან | 14 |
| ქ. ფოთიდან | 4 |
| აბაშის რაიონიდან | 18 |
| ასპინძის „ | 5 |
| ადიგენის „ | 15 |
| ახალქალაქის „ | 66 |
| ბოგდანოვკის „ | 15 |
| ბოლნისის „ | 36 |
| ბორჯომის „ | 5 |
| გარდაბნის „ | 99 |
| გეგეჭკორის „ | 22 |
| გორის „ | 20 |
| დუშეთის „ | 4 |
| ვანის „ | 5 |
| ზუგდიდის „ | 31 |
| თეთრიწყაროს „ | 10 |
| თიანეთის „ | 3 |
| ლაგოდეხის „ | 6 |
| მარნეულის „ | 174 |
| მახარაძის „ | 16 |
| ქარელის „ | 28 |
| ყაზბეგის „ | 3 |
| ყვარლის „ | 7 |
| სიღნაღის „ | 9 |
| წალენჯიხის „ | 15 |
| წითელწყაროს „ | 8 |
| ჩოხატაურის „ | 4 |
| ჩხოროწყუს „ | 20 |
| **სამხრეთ ოსეთის ა/ო** | **34** |